

ჩვენი აღმოჩენა!
ბაფხურში უარი თვით
მივლინება
სტუმრიან ზამთარში თხი
თვით ყვანყვანებს

პლუვალი პრეტენზია:
მინერალური წყლის
კანცელა
მივლინებაში უყოფ
პუყუაქაზე

ვსენაცოვ სანიტოს:
მივლინების ხანგრძლი-
ვობა და მისი
გვარობა ადამიანის
მსახურზე



ნახ. ჯ. ლოლუაში

ზაფხულის პერიოდში ზოგიერთი წარმოება—დაწესებულების მუ-
შაკი სხვადასხვა საკითხის შესწავლის მომიზეზებით ხანგრძლივი მიე-
ლინებით მიდის კურორტზე.

№ 13 თბილისი ივლისი 1960

ბუნება

საქართველო სოფელი და სოფლისური
მეცნიერება

ივლისის პაპანაქება სიცხეში მთელი დღის შრომით დაღლილი ნიანგი შინ წასვლას აპირებდა, როცა კარებთან ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსულმა კორესპონდენტებმა შეაჩერეს.

— ვიცით, დაღლილი ხარ, მაგრამ, ნუ გაგვაწბილებ, რამდენიმე კითხვა გვაქვს და პასუხი გავგეციო.

ნიანგმა კორესპონდენტები კაბინეტში შეიპატიცა, რბილ სავარძლებში ჩასვა და სმენად იქცა.

კითხვა: (ბ. ნარაზენელი)— გაჭირვების ტალღებს, ზუგდიდის რაიონის სოფ. ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმურწუნობის გამგეობამ სოფლის რადიოფიცირებას 50.000 მანეთი ნაღდი ფული დაახარჯა. ქსელი გაყვანილი იქნა, მცხოვრებლებმა სხვადასხვა სისტემის რადიომიმღები დაიდგეს, მაგრამ ისინი ჯორივით გაოჩნდნენ და დუმან, რადიოქსელის გამყვანებზე დამღურებულნი. ესაო და კარგად რატომ არ გაგვიყვანესო.

გთხოვთ გვიპასუხოთ, რა ღონისძიებას მიგმართოთ, რომ დაღუმებულ რადიომიმღებს ენა ამოვადგმევიწნოთ?


პასუხი: როცა რადიოს მოსმენა მოგინდეთ, ზუგდიდედ ნათესავეებს მიაკითხეთ. ავტოსადგური მხედველობაში მიიღებს თქვენს გაზრდილ მოთხოვნილებას და ნარაზენელი რადიომსმენელების გადასაყვან-გადმოსაყვანად დამატებით ავტობუსებს გამოჰყოფს. ეს თქვენ გაგიცხოველებთ მოგზაურობის სურვილს, რასაც, იქნება, ნარაზენელი კოლუმბის გამოჩენაც მოჰყვება...ჰოდა, როცა თქვენი კოლუმბი მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებს გააკეთებს, ზუგდიდის კავშირგაბმულობის რაიკანტორის მესვეურებზეც მის თანასოფლელებს პატივს დაგსდებთ და ისეთ რადიოქსელს გამოგიყვანთ, რომელიც რადიომიმღებს ენას ამოვადგმევიწნებს. მანამდე კი თქვენც სუ და მეც სუ!

კითხვა: (მოდლადაძე ქვები ლაგოდეხიდან)—ხუთი წლის წინათ სატვირთო მანქანებზე წამოგვასკუბეს, გამოგვიცხადეს ლელიანის სასოფლო კლუბის შენობაში უნდა გამოგვტიმოთო. ჩამოგვიყვანეს და ხავსი მოგვეკიდა, უღვაშები აგვიბიზინდა, ბერებივით მოგუშვით წვერები, მაგრამ დღესაც ისევ ისე ვსხედვართ, ვსხედვართ და ველით, ველით, ვინ იცის, რას?

საყვარელო ნიანგო, აგვიხდება ხუთი წლის ნატვრა და გამოვიჭიმებით თუ არა ლელიანის სასოფლო კლუბში?

პასუხი: როცა თქვენი ყბადაღებული კლუბის მშენებლებს მე გამოვიჭიმავ, თქვენც გამოვიჭიმებით, მანამდე კი ენა დაიდუმეთ, ქვის გული იქონიეთ და ნულარ იჭიმებით, თქვენს მეტი ქვა არ გადაუტანიათ?

კითხვა: (შ. ხოჭრევანიძე)—იქნება სოფელი ბოძაური არც კი გაგიგონიათ, ხულოს რაიონშია. იქ ახლა ელექტროსადგურიც ააშენეს და რადიოკვანძიც. გამოცდილებით ვიცი, რომ რადიოგადამცემები



კითხვა-პასუხის სესიო

5 საათიდან იწყება, მაგრამ ჩემს სოფელში რატომღაც მხოლოდ 8 საათზე ირღვევა რადიომიმღებთა სამარისებური დუმილი. რადიოსადგურის მუშაკები ამას ელექტროსადგურს აბრალებენ, დენი 8 საათიდანაა და ჩვენ ხომ დენით ვმუშაობთო.

საყვარელო ნიანგო! როგორ მოვიქცეთ, რომ ის რადიოგადამცემებიც მოვისმინოთ, რომლებსაც დღისით გადასცემენ?

პასუხი: თქვენი სოფლის მესვეურებსაც თქვენსავით რომ სურდეთ დღის რადიოგადამცემთა მოსმენა, ელექტროსადგურს დღისითაც აამუშავებდნენ, მაგრამ, რახან ათასგვარ საქმიანობაში გართულებს, ამისათვის არა სცალიათ, ისევ მიდით და საქართველოს რადიოკომიტეტს თხოვეთ: გამოჩინებულ გადაცემათა შინაარსი მაინც გადმოსცეს თქვენთვის.

ამით ორი კურდღელი გაებმება მახეში: თქვენი საქმეც მოგვარდება და რადიოგადამცემთა რეპერტუარიც გამდიდრდება. ჰოდა, რისი გერიდებათ, გააკეთეთ ასე.

კითხვა: (ჩახრუხაძის ქ. № 31-ის მობინადრეები)—კიროვის რაიონის სარემონტო კანტორამ შავთელის ქ. № 26-ის სამსართულიანი შენობა 1959 წლის მაისში შეაკეთა და სამშენებლო ნაგავი ჩახრუხაძის ქ. № 31-ის ეზოში გადამოყარა. მას მერე ვეხვეწებით, გაიტანეთ ნაგავი, გაიტანეთ-თქო, მაგრამ, რა დაგკარგვია და რას ექებ? კომისია კომისიაზე მოდის, ამტკიცებენ, ეს ხალხი მართალია და ნაგავი უნდა გატანილი იქნასო. მაგრამ დღემდე საშველი არ დაადგა.


სასურველო ნიანგო, გვიჩიე როგორ მოვიშოროთ მეზობელ ეზოდან გადმოყრილი ნაგავი?

პასუხი: კიროვის რაიონის «სარემონტო კანტორას» უმორჩილესად თხოვეთ თქვენი სახლიც შეაკეთოს, მერე თქვენი სახლის სამშენებლო ნაგავს შავთელის ქ. № 29-ის ნაგავი მიუმატეთ და მეზობელი სახლის ეზოში გადაყარეთ, მერე მეზობელ სახლში გააკეთონ რემონტი და ეს გაერთიანებული ნაგავი მეზობელს გადაუყარონ; მან

კიდევ სხვას, სხვამ კიდევ სხვას, ვიდრე ნაგავს საბოლოოდ მტკვარში გადაუშვებდეს ვინმე. ეს საინტერესო სპორტიც გამოვა, და უნდა ნაგავის ესტაფეტაც.



კითხვა: (რ. ელოშვილი)—ყოვლისმცოდნე ნიანგო! დუშეთის რაიონის ფასანაურის სასოფლო კოოპერატივის ერთ-ერთ სავაჭრო პუნქტს ამშვენებს შემდეგი წარწერა:



გთხოვთ აგვიხსნათ ეს რებუსია, თუ დღემდე შეუსწავლელი ისტორიული წარწერა?

პასუხი: ჯობია ამ საკითხზე აკადემიას მიმართოთ, ანდა უნივერსიტეტის შესაფერ კათედრას, იქ ყავთ ამ საქმის სპეციალისტები და დაგეხმარებიან ამ ტექსტის ამოკითხვაში, ჩვენში დარჩეს და ნიანგმა ყველა ენა კი არ იცის, რომ ფასანაურის სოფლის კოოპერატივის წარწერა ამოიკითხოს...

ივლისის პაპანაქება სიცხეში ჩატარებულმა კითხვა-პასუხის საღამომ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

საგურამოს ჟურნალი

საგურამოს
ბიზლიროთქვა

საგურამოელთა გასაჭირი

ილიას სახლ-მუზეუმი

წელს უცნაური ზაფხული დადგა. ჯერ იყო და ზამთრის თოვს მისამდე შემორჩა სუსხი. მერე იყო და პაპანაქებამ ლანქერით აავსო არაგვიანი არაგვი. ნიაღვრებმა აახმაურა ჩახერგილი ხეობა. ამიტომაც გაჰყურებდნენ სევდიანად ელვასავით დაკლაქნილ მდინარეს საგურამოელები.

— არ დაიწმინდა, ქიტეს?

— ჯერ სადა ხარ, კაცო ისე კუპრივით მოედინება ეგ დალოცვილი, რომ, ივლისს ვინა ჩივის, იქნება სექტემბერშიაც გაგვიჭირდეს ბანაობა...

— ეეე! რა გვეშველება, ხალხნო, ბედი არა გვწყალობს. ეს არის სამართალი? ერთი მდინარე ჩაგიდიოდეს და ისიც ასეთი ტალახიანი?

— რა მაგის პასუხია, კაცო. და იმ ჩვენი ნაბანოვარიდან ამ დღეებში ისეთი კაკანი მოისმოდა, ასე მეგონა მიწათმოქმედების საცდელ ინსტიტუტს მეფრინველეობის ფერმად გადაუკეთებია—მეთქი.

— არა, კაცო, ღმერთმა უშველოს იმ ჩვენს ირაკლი გაბუნისას, ეს სამი წლის გაუქმებული აბანო, ახლა მაინც რომ აახმიანა თავისი ქათმების კრიახით.

ასე მსჯელობდნენ საგურამოს კოლმეურნეობათა ბუღალტრების მოსამზადებელი ერთწლიანი სკოლის მსმენელები და ადგილობრივი კოლმეურნეები. მათ რა იცოდნენ, რომ ინსტიტუტის ბუღალტერიის ბალანსში ამ ჟანგითაქმული, კარ—ფანჯრებიჩაღწეული, ჭერჩამონგრეული და დანაგვიანებული, ან დაჩაჩანაკებული, მაგრამ ოდესღაც საგურამოელთა საამაყო და სანუკვარი აბანო 208 ათას 200 მანეთად რომ არის შეფასებული, რომ მის აღდგენა—ამუშავებაზე ფიქრი ჯერ ფარატინა ქალაქს ვერ გასცდა.

— კვირას მიტუანთ ქორწილში ხომ არა ხარ დაპატივებული, ქიტეს?

— სადა მცალია ქორწილისათვის, კაცო, ცოლ-შვილი უნდა წავასხა თბილისში საბანაოდ.

— რაღა თბილისში ავიჩემებია, ქიტეს. მცხეთა აქვე არ არის?

— რას ამბობ, კაცო, მცხეთის აბანოში კაცმა რომ იბანოს, შეგებულება უნდა აიღოს, თბილისში ნაღდი საქმეა.

რა მოუვიდა აბანოს?

იყო დრო და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ერთწლიანი კურსებს ეკუთვნოდა! რა კარგი დრო იყო მაშინ! კოლმეურნეებიც იქ ბანაობდნენ და მოსწავლეებიც, ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის თანამშრომლებიცა და მეზობელი სოფლელებიც.

მერე მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი გაუჩნდა მფარველად, მაგრამ იგი მან წვიმას, ქარსა და ჭანგს გადააბარა.

რა ენადგებათ ინსტიტუტის თანამშრომლებს, თბილისელები არიან, ჩავლენ დედაქალაქში, გოგირდის აბანოს მიაშურებენ და დაბრუნდებიან დაბანილ-დასუფთავებულნი, მაგრამ საგურამოელებმა იკითხონ და კიდევაც კითხულობენ, როდის აღმოუჩნდება იმ ნააბანოვარს პატრონი, რომ მას სათანადო რემონტი გაუკეთოს და აბანოდ აქციოსო?

საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი მნახველებით გავესებულყო, მუზეუმის ლიტერატურული მუშაკი ორატორული მჭერ-მეტყველებით გადასცემდა ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსშესანიშნავ დეტალებს.

— დიდი ილია იყო შრომის-მოყვარე, სოფლის მეურნე და მშრომელი. სასიქადულო პოეტს ძალიან უყვარდა საგურამოს ეზო-კარმიდამო და სანაქებოდაც ჰქონდა მოვლილი, ავ თვალს არ დაენახებოდა ის ნაშრომი და ნაამაგდარი, რასაც ილიასებური შნო და ლაზათი დაჰკრავდა.—დამთვალეირებლებმა ერთმანეთს გადახედეს.

— განსაკუთრებით უყვარდა ილიას თავისი ვენახი. აგერ ის ვენახი ისე იყო მოვლილი და გამშვენებული, რომ მთელ არემარეში ბაღალი არ ჰყავდა...

— ამ ვენახს, პატივცემულო?!

— დიახ, სწორედ ამ ვენახს.

— ამ საცოდავსა და გავერანებულს, ბალახითა და მოუვლელობით დაჩაგრულს, განა ასეთი მოვლა ჰქონდა წარსულში?

— დიახ, ამხანაგებო, ეს ვენახი ილიას-დროს დროულად იბარებოდა, ითონებოდა, ისხლებოდა და იწამლებოდა...

— კი, მაგრამ, ახლა რაღა გაუჭირდა, რომ ჯადაშენების გზაზე დამდგარი...

— მუშა ხელი ვერ ვიშოვნეთ, ბატონო, დროზე ვერ დავბარეთ, მერე დროზე ვერ გავთონეთ და მოერეოდა ბალახი, მაშ რა იქნებოდა...

უეცრად მსმენელებს შორის საექვო ჩურჩულმა ჩამოიარა, ჩურჩული საუბარში გადაიზარდა და საუბარი კი შეკითხვად იქცა.

— ფრიად პატივცემულო, თვითონ ილიას თუ უყვარდა ბაღში და ვენახში მუშაობა...


— ჰმ... როგორ არა, ამხანაგო, იგი ხშირად გლენებთან ერთად ბარავდა და თონხიდა. და აპატივებდა თავის მამულსა და ბაღბოსტანს...

— და მერე არ შეიძლება რომ მუზეუმის თანამშრომლებმაც მიბადონ დიდი ილიას მაგალითს.

— ამხანაგებო, ჩვენ ძალიან გადაუხვიეთ საკითხს. დიდმა ილიამ 1861 წელს დაწერა შესანიშნავი ლექსი „გაზაფხული“:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყვივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა ტირის.
ტირის ილიასეული ვაზიც...

8. არაბგველი



ნახ. ნ. შალაზონიასი

— დამშვიდდით, გენაცვალე, ნუ ლეღავთ, ძვირფასო!
— თუ ღმერთი გწამთ, გაჩერდით ჩემი ცოლი მოდის და არ გაიგონოს!

პიროვნული სხეულები

(კარგზე არაა: «ზინაგანი სწავლებლით, ექიმ ფინს სთხოვლობს: შემობრბინს საყრდენს»
 — რაშია საყრდენი?
 (პიროვნული სხეულები კაცებს, პირს აქვს და ვეღვე უთითებს).
 — კაცი, ხალხებს ხომ არ შეუამაგებს, ამოღებ ხმა?
 — რა გაუგებრა ასეთი?
 — მასპინძელმა ბევრი მართა და გადაამდა.
 — შეგნულად მოგაფრია.
 — ექიმო, რა დროს ვეცა, ძვირს ვხედავ?
 — ვაჟად ამა პირო (უკრებს ხახვამ) შენ, ძეგო, მონდობის ვეფილხარ.
 — რატომ?
 — რადგან ვიღო გინაა განაზრულა და ჩემთან მოხიზნა?
 — ამა ვინაა?
 — იგი ვინა ვარ მე? შინაგანი ვარ, ზიდაა, აქედან აქედან (სასუღიდან აქვს ხელს და ჩაღვს ქუჩაშვე) არის ჩემი მოქმედების უბან.

ხიხვებში არ ვეფილხარ (ცხვები არ ვეზღვარებარ მაგარი შეუძლებელი ჩავეღვქ (წიწვეს ტრანსპორტს)
 — დაწყარდი, მეგობრო, ეღვრო ძვილი თუ გეცა, ამხელა ხმა საინდინ ამოღდის?
 — დაამინე ამა, პირო, თუკი აააქ—
 — ვაი!
 — კბილებს რატომ არ იხვებ შენაშინავე ზღვარულად პასტა იყვებმა, თიღვალთი.
 — ექიმო, ძვილი ნახე.
 — (უკრებს დაეკრებებით) მოეცა მოეცა, ესაა ეღვრო მაცქვს მთელს.
 — ბავშვს ვეფილხარ, ეღვრო მგონია.
 — შერე?
 — აღმათ დაწყარ.
 — გამარჯობა შენი, იცი ვინა ვარ მე? ეღვრო-ცხვირი ვარ, ზიდაა, აქედან აქედან (სასუღიდან ხელს აქვს ქუჩაშვე). ამაგულსტაა, ვერკი პირაში რომ ტრანსპორტს ვახეუთლი, იმას მოგონებ.
 — სტაა ხომ ჩანს, იმას მოეცა!
 — ბერიო რომ ორი შეგანდობი გაეღვრება ხანს, ხომ იოღვება აუტეტი?
 — რა ეწაა ამა?
 — მაკითხე შენაგანი, ვეფრეზა (პიროვნული შენაგანია შერბის).



— ნუსხითი დამწევა ვეღვქ?
 — დამაინო ვეღვი გაცქვ? თუ პასუხიკა? (მოკლებს ხელს და სკამის ზურგზე მუდული გადაეკრება).
 — რას მოვრეკ?
 — ძვილიც წამოვა.
 — შერე?
 — გაეღვრე იგი ეღვრო-ცხვირი.
 — მიწველთ, გვეღვობი ვარაა

გვეყარები

თის სამლა

ავად დიდხანს დადიოდა პოლიციური უფროსი ექიმთან. ბილიოსტრინობინეს, თუ ნამდვილად ურუნგა სურდა, ექიმთან უნდა ევლო.
 — ჩი მდისი შენი მცურნალობს, ცხვითა გრთხელ ნაყენობი.
 — უფრ ვერაფერი ურეველს, მის სამაგიეროდ, თვალუბი კოლესა, — უპასუხა შინა.

რას ბიზი

— ჩემი ისეთი ყინალია, უკვე თიღელი გამს სახევენი.
 — ჩემს კი ვერ ისევ მე ვამევე?
 — რაი თვისაა თქვენი ბავშვი?
 — რევისა და თცადებით წლისა.

ა. პანილიანი



„პიროვნული“ თუ „პიროვნული“?

დღი ხანია ოცნებობა ანდრიაშვილი მანქანის შექმნაზე კასის კაცს ეკუთვნის და დღეს აგროვედა, ჩიოვებდა იუჯინის წყურვილ მცერ ფინანსურ რევიზე გადამივინა.

გავიდა დრო. მან თავი მოუფარა 21.000 მანეთს, ამისთვისაა მიღებულხან ბევრი აღარ აკლდა.

ახლა უკვე ისეთი კაცის მიძებნა იყო, რომელსაც მანქანის გამგებანი დაემაგებოდა.

ერთხელ ვიღაცა ურბი ჩასტერული ანდრიაშვილს: ამ საქმის ისტატიკა არააბიძგი, ზიანხა და ვეფილხარს ვაეფილხარს.

— რაშია მოეფილხარს იგი. ანდრიაშვილი რაშია უფრ სხვებზე ვარ შეზარებული. ვეფილხარ შენი რაი ვარ წყურვილ-უეზრულია მოსულ მერტა.

გვეღვრება სატარის ვეფილხარ მანქანაში ორჯერ.
 — ფული რაშიღვ ვატე? — შეკვიპია ამაში.
 — ვერაფერი ოღვივარი.
 — სტაა, მანქანის ღირებულება ახლად უნდა ჩამთავლო. დანარჩენი ხარჯებისთვის ფული დროზე ვარ სჭირდება. ან სატარის ვეფილხარ ანდრიაშვილი 21.000 მანეთს თანაშის უბიშვი გაემაგინა.

არც 6 ტყეპებს ჩამოსცენია მანქანის ფული ციდან, ვერ იყის, შეკრებულ ფულს სატარისთვის გამოყავდა ამაშივე იუჯინის იხე ვინ სტატიკით, ტყეპებ ტყეპი მცეროდა, რომ მანქანა შეშინა და იუჯინს დაეკრებინა.
 — ვერაფერ ვარე, ეღვრო ტაბილი, თუ ვეფილხარ ვეფილხარს.
 სჭირი იგი კაცი, რომელიც დაემაგინა სტატიკა და ვარაუდობდა მანქანის გამგებანი, მაგრამ ასეთი კაცის გამოჩინა არც ისე ადვილი აღნიშნა.

კითხვა-კითხვით შეტყობი, რომ ასეთი საქმეების მოგვარება იური შალკიანის სპეცტერიაში შეიღობა.

— ან მანქანა, ან ფული ოორვე მოსახლი ვერ გადამიბრებია.
 — მე რას ვეფილხარ? შენი ფულია და 21.000 მან. არაბიშვი მივიცი, წაღი და მოკითხე—უფროსი ვერკი.
 თამაშ არაბიშვი შესწდობი ღიღობი შევეღვრე ვეფილხარს ტყეპებს. მან მანქანის სტატიკის ფიტერია დარეკებდა აქვია, ჩასაც ოთხისი მაღალის ვარეწა ფილხარ ფანტონი აწერდა ხელს, ხილო ზღვარული არ აღსტყებდა.

დრო გადიოდა და მანქანა ეღვდა არ ჩანდა, ანდა საიდან ვამინდობდა.

— ან მანქანა, ან ფული ოორვე მოსახლი ვერ გადამიბრებია.
 — მე რას ვეფილხარ? შენი ფულია და 21.000 მან. არაბიშვი მივიცი, წაღი და მოკითხე—უფროსი ვერკი.
 თამაშ არაბიშვი შესწდობი ღიღობი შევეღვრე ვეფილხარს ტყეპებს. მან მანქანის სტატიკის ფიტერია დარეკებდა აქვია, ჩასაც ოთხისი მაღალის ვარეწა ფილხარ ფანტონი აწერდა ხელს, ხილო ზღვარული არ აღსტყებდა.

— ან მანქანა, ან ფული ოორვე მოსახლი ვერ გადამიბრებია.
 — მე რას ვეფილხარ? შენი ფულია და 21.000 მან. არაბიშვი მივიცი, წაღი და მოკითხე—უფროსი ვერკი.
 თამაშ არაბიშვი შესწდობი ღიღობი შევეღვრე ვეფილხარს ტყეპებს. მან მანქანის სტატიკის ფიტერია დარეკებდა აქვია, ჩასაც ოთხისი მაღალის ვარეწა ფილხარ ფანტონი აწერდა ხელს, ხილო ზღვარული არ აღსტყებდა.

ბარი პარალი

ბარი პარალი



სხვადასხვა დროს ვიხილე, სხვადასხვა დროს გამოვლი ასიპარეზო ან ვეფილხარ, წინაა მოხილდა და მოქვარე მოღვრებობი აღსავე ცხვირების ფეხბილი. თბილისის არ ვიცილობდი და ახლა გავეცეხიბი ტრამვაისის, უბიღვრებში, პლუმი, ბეჭვარი, ცხრაკლტულში და ვაი-უეფილხარბი.
 დანაშუ ჩვენს ფურცლებზედაც წყრია. შვეფიერი, ისტორიული, თვალმარტიკა და უაღრესად მიზიდვლი ადვილია და სიხარულით მოვიღობიბი აქტი, მაგრამ ხანმოკლე გამოღვა ჩვენი სიხარული სოფელ განთიადის ორბიოკისის სახელობის კოლეჯების ბიბლიოთეკაში დაემაგინავე, ერთხანს ვეფილხარ, ვეფილხარბი, პატრის ვეფილხარ, მაგრამ შერე, ამინდი შეიკავია. კოლეჯების თავეფილხარ და ციხელაშვილს ზიანხა ლიოთეკა კლდის დანარჩენი აქვია და ჩვენს ხანგრძლივ უბატრონი და ვარაუდობი. შეუფილხარს, ხანდა და მარაღვრებულსაც შეუფილხარს. ვარაუდობი და ვარაუდობი ვეფილხარს ერთხანს ვეფილხარს ვეფილხარს ვეფილხარს, მოეცეხი. ვეფილხარ, ვეფილხარ, ხელს ვეფილხარ და და ცხარე ცხვილი დატვირთი ჩვენს უკლმარხი ხევერს, რომლებიც ასე დაეფილხარა, პატრი ვეფილხარ და ვეფილხარა.

მოთხვეულები როდის გამოჩინებენ ცხრაკლტულს და და როდის ავავიგებენ ბიხილს?
 — ვერ ეღვირები ჩემი ქალიშვილას ხელს, სანამ ცოცხლი ვარ.
 — რა ვეფო, ცოცხალი კიდევ მოვიღობი!

ქალიშვილი

ტავიტიკა

შენს ვეფილხარბი, ზიდაა რაი რაი, ტყეპის ვეფილხარა, ძეგო, შენი ფეხ.



პიროვნული

სუფილხარ ვეფილხარ, სატარის სხვაზე უფრ ვარ. ხეღვრება ვეფილხარ, მაგრამ ხეღვრების უფრ ვარ.

პაი ბილიონის



საშუალო სკოლა და უნივერსიტეტი ისე დაგამთავრე, რომ ერთხელაც არავის წამოსცდენია ჩემი ნათესავი ხარო. მუშაობის დაწყების შემდეგაც დიდი ცვლილებები არ მომხდარა ამ მიმართულებით და ბევრი არავინ შემატებია ჩვენს ნათესაურ წრეს. სამაგიეროდ სულ სხვა ამბავი დატრიალდა ამ სამიოდე წლის წინ, როდესაც, საოზბედუროდ თუ საბედნიეროდ, ერთერთ უმაღლეს სასწავლებელში მიმიწვიეს გამომცდელად მისაღები გამოცდების დროს. ეს იყო და ეს. აქედან დაიწყო ჩემი უახლოესი ნათესავების აღმოჩენა და მათი სასწაულებრივი მოზღვაება.

აქამდე მე წარმოდგენა არ მქონდა, თუ ნათესაობა ასეთი ფართო მცნება იყო. თურმე ნუ იტყვიო, ყველას უფლება აქვს შენს ნათესავად გამოაცხადოს თავი, თუკი ოდესმე შენთან მატარებლით უმზავრია, ან სადმე ქეიფის დროს წარმოუთქვამს შენი ვაჟკაცობისა და მარიფათის სადღერძელო.

ჩემი დაკვირვებით, ყველაზე მეტად ნათესაური გრძნობა გაზაფხულზე იღვიძებს, ხოლო აგვისტოს შუა რიცხვებში, როდესაც დიდი სიცხეები იწყება, მინდვრის ბალახებით ხმება. ამაში მე პრაქტიკულად დაჯრწმუნდი. წელსაც, მაგალითად, გაზაფხულიდან დაიწყო ახალი ნათესავების მოზღვაება და ამჟამად შეუწელებელი ტემპით იზრდება. მარტო გასული კვირის განმავლობაში იმდენი ნათესავი შევიძინე, რომ სპეციალური ჟურნალიც შემოვიღე მათი გვარების დასამახსოვრებლად.

ამას წინათ, ჩემმა ახალშეძენილმა ნათესავებმა ისეთი საუბარი გამართეს ჩემს ოჯახში, რომ გული ამიჩუყდა და კინაღამ ავტირდი. რაიონიდან ჩამოსულმა კეთილებმა ჩემი ბავშვობის წლები მოიგონეს და, კი არ დაუმაღლებიათ, ისე აღნიშნეს, რომ მე მათი ღომითა და ძროხის რძით ვყოფილვარ გაზრდილი. მართალია მე არ მახსოვს (ბავშვს საიდან დაამახსოვრდებოდა ყველაფერი), მაგრამ ის ხალხი, რომელიც ნათესაობას გეფიცება, ტყუილს ხომ არ იტყვის.

თბილისის ცალკეულ ბარკებსა და საზაფხულო კინოთეატრებში ზოგიერთი დამსვენებელი და მაყურებელი ღამის ხალაუბსა და ბიჭამოებში „გამოწყობილი“ მოდიან.



ნან. ე. ბერძენიშვილისა
 — დედიკო, ისინი დასაძინებლად მოვიდნენ კინოში!

მათი სიტყვების საფუძველზე, მე გავაკეთე რთული მათემატიკური გამოანგარიშება და აღმოჩნდა, რომ ბავშვობის წლებში მე დღეში 3 ტონამდე ღომს ვჭამდი და ზედ, სულ ცოტა, 1500 ლიტრ რძეს ვაყოლებდი. არ ვტრიაბახობ, მაგრამ ყოველგვარი საფუძველი მაქვს ამის შემდეგ განვაცხადო, რომ დიდი ფრანგი მწერლის ფრანსუა რაბლეს ნაწარმოების გმირი — გარგანუტა ჩემთან შედარებით ჭინჭრაქადაც არ გამოჩნდება. ჩვეულებრივად ახალაღმოჩენილი ნათესავები გაცნობისა და და მრავალი მოკითხვის შემდეგ, პირველ რიგში, გადადიან იმ საკითხზე, რომელმაც, როგორც თვითონ ამბობენ, აიძულა ისინი შეეწუხებინათ მათთვის ყველაზე უახლოესი, მაგრამ დღემდე გაუცნობელი ნათესავი.

ამას წინათ ერთი უცნობი ქალი ძველი ნაცნობივით მესტუმრა ბინაზე. ჯერ ყველას შეავსებინა ანეკტა იმის გამოსარკვევად, თუ ვინ რა როლს ასრულებდა ჩემს ოჯახში და შემდეგ ისე გადამეხვია, რომ ძლივს გამოგლიჯეს ჩემი თავი ხელიდან.

მალე ასეთი დიალოგი გაიმართა ჩვენს შორის:
 — შენ გენაცვალოს დეიდა (დედაჩემს არ ჰყავს და, მე ძალიან გამიხარდა რომ, მიუხედავად ამისა, დეიდა მაინც მყოლია).

— შენს იქეთ გზა არა მაქვს, შენთვის ჩამიბარებია ჩემი ბიჭიკო და შენ იცი, გინდა მომიწყვე უმაღლესში და გინდა წყალში გადააგდე.

— როდის დაამთავრა საშუალო სკოლა? — შევეკითხე ჩემს საყვარელ დეიდას.

— სამი წელია, ენაცვალოს დედა, მაგის ტოლებმა ზოგმა ქარხანაში დაიწყო მუშაობა და ზოგმაც კოლმეურნეობაში; თითქმის, ყველა მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში, ჩემი შვილი კი ბუნებამ დაჩაგრა, სუსტია, ვერსად ვამუშავე. მე გაკვირვებით შევხედე ამ «უსტ ბიჭიკოს», რომელიც საოცრად აბუზულიყო დედის სიტყვების გასამართლებლად, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა განიერ ბეჭებს და თავჩაღუნული გაუხედნავი მოზვერივით აბრიალებდა თვალებს.

ორი დღის წინათ ერთი ახალი ნათესავი მესტუმრა. მისი გადმოცემით, ის ყველაზე ახლობელი ყოფილა ჩვენი ოჯახის. თუნდაც იმიტომ, რომ ბებიაჩემის ქელებში თამადად ყოფილა და ისე დაუთვრია ხალხი, რომ მიცვალებული მხოლოდ მეორე დღეს მიუბარებიათ მიწისათვის. სწორედ ასეთმა საპატიო ნათესავმა დამავალა, რომ მისი შვილი, რომელსაც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე თითქმის ყველა ინსტიტუტში უცდია ბედი, მე მოვაწყო რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში (ესეც დიდი შეღავათია, როცა კაცი ინსტიტუტს არ გისახელებს და გეუბნება სადაც გინდა, იქ მომიწყვეო).

— ბიჭიკო, დამდე ვალი, ეს პატარა საქმე გამიკეთე და შემდეგ, თუ გინდა ჩემს თავზე წისქვილის ქვა დააბრუნეო. — ბიჭო, ტყვილა გამეხარდა შენი დიდაცობა? — მთელმა სოფელმა იცის, როგორ გაქებდი ბავშვობის დროს და სულ იმას გავიძახოდი: — ამ ბავშვს ისეთი შუბლი აქვს ან ჭკვიანი გამოვია, ან მთლად სულელი-თქვა. — ხომ გამართლდა ჩემი ნათქვამი! უნდა ვიფიქროთ, რომ, ალბათ, თავისი პროგნოზის პირველი ნაწილი მიაჩნია ჩემს უახლოეს ნათესავს, ბებიაჩემის ქელების თამადას გამართლებულად.

აღსანიშნავია, რომ ჩემი ახალაღმოჩენილი ნათესავები ყოველთვის ხელდამშვენებული მოდიან. მხოლოდ ერთი გარემოება იწვევს გაკვირვებას — შეთანხმებულივით ყველას თითო ბოთლი ტყემალი მოაქვს ძღვენად. როგორც ჩანს, ბავშვობის დროს ღომისა და რძის გარდა ტყემალიც ძალიან მყვარებია. ჩემი ნათესავებიც, ცხადია, ითვალისწინებენ ამ გარემოებას და პირველი გაცნობისთანავე ეს »ტკბილი« საქმელი მოაქვთ.

შაბათს განჯინაში ტყემლის ბოთლები დავთვალე და ზუსტად დავადგინე ერთი კვირის განმავლობაში შეძენილი ნათესავების რაოდენობა. მოხარული ვარ, რომ მათი რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ამის შემდეგ, ჩემს ცოლს არავითარი საფუძველი არა აქვს მითხრას — უთვისტომო და უნათესავო ხარო.

დრო კიდევ წინ არის. ვინ მოთვლის, რამდენ ახალ უახლოეს ნათესავს აღმოვაჩენ 15 აგვისტომდე.

— შემოდოა შემოგთავაზოთ: ასე ვთქვათ, იშვიათი რამაა.

გამყიდველმა ზედა თაროდან გადმოიღო მოზრდილი შავყდიანი წიგნი, ჩვეული მოძრაობით მტვერი მოაშორა და დახლზე დადო. ივანემ ფრთხილად აიღო წიგნი, შეათვალი-შემოათვალიერა და წაიკითხა: ჟულიენ ფაბრი—„მწერების ცხოვრება“.

— ჰო, მართლაც კარგი რამ უნდა იყოს.—ჩაიბურტყუნა მან, გადადო წიგნი და უნდობლად გადახედა გამყიდველს.

— რას მირჩევ, დედუკა?—ლაციციტო შეეკითხა ცოლს. მარიამმა გაიხედა სადღაც, ზედა თაროს ზემოთ და ცივად ჩაილაპარაკა:

— მე მგონია, თვითონ მიხვდები, ღირს თუ არა ხოჭოების აღწერის ყიდვა ცხრა თუმნად,

— უკაცრავად, არ შეიძლება, გავიგოთ, რას ათვალთქვამთ?—იკითხა ახალმოსულმა ახალგაზრდამ.

— აჰ, ფაბრი ყოფილა!—წამოიძახა მან და ხმამაღლა შეაქო წიგნი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ივანე და მარიამი გასასვლელისაკენ გაემართნენ. ივანეს ცალ ხელში სხვადასხვა საწოვავით დატვირთული ჩანთა ეჭირა, მეორეში—პირალია ქაღალდში გახვეული „მწერების ცხოვრების“ ტომი.

ავტობუსის გაჩერებასთან ივანემ ძირს დადო ჩანთა, გაშალა წიგნი და გაუხედავად მიმართა ცოლს.

— ტყუილად ჯავრობ. ხომ შენი ყურით გაიგონე, საიშვიათო და მეტად ძვირფასი წიგნიაო, რომ თქვეს. თითქმის მუქთად ვიწოვნე. აბა, ერთი შეხედე.—განაგრძობდა ივანე, რომელიც ალაფრთოვანა მარიამის ღუმელმა.



— რა საუცხოო ბუზია! ფრთაყვითელა სფექსი! ამ თავს „სწავლული ბანდიტი“ ეწოდება, „ხანჯლის სამი დარტყმა!“ ეს ხომ ლეტექტივია! ნატპინკერტონი!

მარიამმა დაუდევრად აიღო წიგნი და ზიზღით გადაშალა რამდენიმე გვერდი. სწორედ ამ დროს მოვიდა ავტობუსი. გრძელი რიგი შემჭიდროვდა და დიდ მოძრავ რკალად შეიკრა. ყველამ კარებს მიაშურა. მარიამი წინ აღმოჩნდა. ივანე ჯერ უკან მიაგდეს, შემდეგ ციმციმ შეიტანეს მანქანაში.

ცოლ-ქმარი მხოლოდ ავტობუსიდან ჩამოსვლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს.

— სადაა შენი ფაბრი, ჰკითხა მარიამმა და თავიდან ფეხებამდე ჩათვალა ივანე.

— აქი შენ გაქვს?—მშვიდად მიუგო ივანემ.

— არც მქონია და არცა მაქვს!—მოუჭრა მარიამმა.

— როგორ თუ არ გქონია? ხომ მოგეცო, დასათვალა ივანემ...

მარიამი სხაპასხუბით ალაპარაკდა:

— საინტერესოა, ვინ უნდა იზრუნოს ნაყიდ საქონელზე? დოყლაპია! ნუთუ არ შეგეძლო დაგეძახნა: „ფაბრი, შენ ხომ არა გაქვს?“ მაშინვე გა-

ქვეყნის ფაბრი

მოვარკვევდით ყველაფერს. დროზე ავტენტით ბანიკას და წიგნი მოინახებოდა. ახლა კი... მაგონდება, რომ მართლაც მომეცო წიგნი. მაგრამ კარგად იცი, არ შემეძლო დამეკარგა... ალბათ მოიპარეს! დარწმუნებული ვარ, რომ შთიპარეს ამის ასე დატოვება არ შეიძლება! არ უნდა დავუშვათ, რომ დაუსჯელოდ იპარავდნენ ასეთ ძვირფას წიგნებს! სადაც გინდა—წადი, რაც გინდა, ქენ, მაგრამ იცოდე, ფაბრი უნდა იპოვოს!—დაასკვნა მან, სტაცა ხელი ჩანთას და მედგარი ნაბიჯებით გაემართა შინისკენ. ივანე ცოტა ხანს ცქმუტავდა ერთ ადგილას და შემდეგ ნელ-ნელა გაუყვა მეორე მხარეს.

სალამოს ძლიერ გვიან დაბრუნდა, კიბეზე აღიოდა ისე გამყფილი ადამიანის სახით, თითქოს მეტისმეტად ძნელი საქმე შეასრულაო. ილიაში ამოეჩარა შავყდიანი ვეებერთელა ტომი; ყდაზე ოქროს ასოებით იყო აღბეჭდილი; ჟულიენ ფაბრი „მწერების ცხოვრება“, თუმცა ეს წიგნი როდი იყო ის რაღაც ჯადოსნობით გამჭრალი ფაბრი. ეს ფაბრი არ უჭა მას თავისი ბირადი ბიბლიოთეკიდან ძმისწულმა კოლიამ, რომელთანაც შეირბინა ივანემ რჩევისათვის, სანამ მილიციიდან ნაბოვნ ნივთთა ბიუროში შევიდოდა.

ივანე დიდხანს აწვავდა გასაღებს შესავალი კარის კლიტეში და ძლიერ იკავებდა ღიმილს. წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ დაუგრძელდებოდა ლაქდაჭა სახე გაოცებისგან მარიამს, როგორც იყო, გადადო კარი და შევიდა შინ. წინაკარში ბნელოდა, ოთახის კარი ღია იყო, ხოლო მარიამი, ალბათ, სამზარეულოში ფუსფუსებდა. ივანე შევიდა ოთახში და ის იყო მაგიდაზე დადო წიგნი, რომ მარიამი გამოვიდა:

— ვიცი, ვიცი, უკვე რომ მოხვედი.—მოულოდნელად მხიარული კილოთი ალაპარაკდა იგი და, ივანეს გასაოცრად, ხელიც კი მოუთათუნა შემელოტებულ თავზე.—სასტიკი და აუტანელი ვარ.—განაგრძობდა მარიამი...! მთელი ქალაქი შემომარბენინე წიგნის საქმეზე... იცი... ა-აგერ ყოფილა!—მარიამმა მაკვილიდან აიღო ივანეს მიერ მოტანილი წიგნი და გაუწოდა მას.

—ივანემ ჩუმად ჩაიციხა:

— რასაკვირველია, შენთვის იოლია ახლა თქვა: აი აგერ ყოფილაო! ახლა მოვიტანე.

— როგორ თუ მოიტანე? ეს წიგნი ჩანთაში ვნახე, სურათის ქვეშ იდო. არც კი ვიცი, როგორ მოხვდა იქ.

— აბა, რას ამბობ?—წამოიძახა ივანემ და თან ჰაერში ატრიალებდა იმ დათარსულ ფაბრს.

— გიჟი ხომ არ გგონივარ?—გაბრაზებით წარმოთქვა მარიამმა და ქმარს ზურგი შეაქცია. ამ დროს მაგიდაზე თვალი მოჰკრა სწორედ ისეთსავე მეორე წიგნს, როგორც ეჭირა ივანეს. ისინი ტყუ-

ბი დებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ერთნაირი ყდები, იგივე ავტორი, იგივე სახელწოდება.

— ვიშ!—შესძახა მარიამმა, როცა გაიგო ძმისწულის გულწუხობა.—ახლა ხომ ორი ფაბრი გვაქვს? მე რად გვინდა ორი ერთნაირი წიგნი? მეორე დღეს დილიდანვე მარიამი ბუკინისტურ მაღაზრისაკენ გაეშურა. უზარმაზარმა საჩვენებელმა თითმა გზა უჩვენა მას იმ დარბაზისაკენ, სადაც წიგნებს ყიდულობენ მოსახლეობისაკენ.

— მითხარით, სად შეიძლება გავყილო ძალიან ძვირფასი წიგნი?—ჰკითხა მარიამმა დახლთან მდგარ მოხუცს.

— სწორედ აქ.—უბასუხა მოხუცმა. სათვალე გაიკეთა და მარიამს წიგნი გამოართვა. წაიკითხა სათაურის და რაღაც უცნაურად შეაჩერდა მას.

— ცოტა დაცდა მოგიხდებათ.—ჩქარა წარმოთქვა მან და მიიმალა კარებში, რომელსაც ეწერა: „გარეშე პირთა შემოსვლა აკრძალულია“.

გავიდა ხუთი წუთი, შემდეგ ათი... მოხუცი არ ბრუნდებოდა. დახლთან შეგროვდა რამდენიმე კაცი და ყველანი გაოგნებულიყვნენ რატომ არავინ ღებულობს წიგნებს ასე დიდხანსო.

— მე მეტად ძვირფასი წიგნი მოვიტანე. ალბათ, სპეციალისტები ამოწმებენ მას,—აუხსნა გარეშეყოფთ მარიამმა.

უცებ დარბაზის კარებში გამოჩნდა მილიციელი.

— ვინ აბარებს ფაბრს?—ხმამაღლა იკითხა მან:

— მე.—ამაყად მიუგო მარიამმა და წინ წაღ-

გა ნაბიჯი.

მილიციელმა ქულთან მიიღო ხელი,

— მოქალაქე, წამოზრდნით მილიციის განყოფილებაში!—მტკიცედ წარმოთქვა მან.

— რა მოხდა, რა იყო?—წაიბუტბუტა მარიამმა

— ის მოხდა, რომ გუშინ, დღისით ერთმა მოქალაქემ შემოიტანა განცხადება, მის ცოლს ავტობუსში მოპარეს სწორედ ეს ფაბრი, მაშ ასე ინებეთ და წამოზრდნით.

თავს არ მოგაწყენთ მკითხველს დასასრულის აღწერით.

თარგმნა ნ. აბიაშვილმა



ნან. გ. ფირცხალავასი რაციონალიზატორული წინადადება

რედაქტორი ნ. შველიძე.


სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჰელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, ხაერთო განყოფილების—3-10-49.

გამომც. № 13. ნელმოწ. დასაბ. 29/VI-1960 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეჯ. № 1111 უგ. 03707. ტირ. 40.000

პენტაგონის პროგნოზიული მაქინაციების შედეგად, უშიშროების უზრუნველყოფის საბაბით, ლონდონსა და ვაშინგტონში იმუშავენ გემებს, რომლების მიხედვითაც, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, ინგლისმა მონაწილეობა უნდა მიიღოს წყალბადის ბომბებით აღჭურვილი ბომბდამშენების მუდმივ პატრულირებაში. ეს გარემოება უდიდეს შეშფოთებას იწვევს ინგლისელ მოსახლეობაში.
(გაზეთებიდან).



უშიშროების „უზრუნველყოფა“ ამერიკულად.

